



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080141909754220

№ 1062

19 / მარტი / 2020 წ.

შპს „საუკუნის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობა;

ტენდერის ნომერი: NAT190019382;

შესყიდვის ობიექტი: 03400000 – მეტყევეობისა და ტყეკაფვის პროდუქტები;

მიმწოდებელი: შპს „საუკუნე“ (ს/ნ: 420430402);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 21 იანვარს წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობის 2020 წლის 20 იანვრის № 35-01200202963 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 654), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „საუკუნის“ (ს/ნ: 420430402) მიერ NAT190019382 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 28 ოქტომბრის № 6.2.18.8/30/117 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. მიმწოდებელს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის beso1001@mail.ru მეშვეობით, 2020 წლის 31 იანვრის №350 წერილით აცნობა შემსყიდველი ორგანიზაციის შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 28 ოქტომბრის № 6.2.18.8/30/117 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2019 წლის 31 დეკემბრის №35-01193651520 წერილით ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისრა პირგასამტეხლო.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 7 ოქტომბერს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ნაძალადევის რაიონის გამგეობამ გამოაცხადა NAT190019382 ელექტრონული ტენდერი სანვავი ხის მასალის (შეშა) (CPV03413000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2019 წლის 22 ოქტომბრის №3 სხდომის ოქმით, გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „საუკუნე“ (ს/ნ: 420430402) და ამავე სხდომის ოქმით, მიწვეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. 2019 წლის 28 ოქტომბერს მხარეთა შორის გაფორმდა №6.2.18.8/30/117 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი 2019 წლის 20 ნოემბრიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 78 540 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 31 იანვარი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 16 დეკემბრის № 35-0119350733 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად ხელშეკრულების შესრულების ვადის გასვლისა, ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა, რომ თუ იგი უმოკლეს ვადაში არ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებებს, მის მიმართ გატარდებოდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

4.5. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2019 წლის 31 დეკემბრის № 35-01193651520 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა, მიუხედავად წერილობითი და სიტყვიერი გაფრთხილებისა, არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მან შემსყიდველ ორგანიზაციას 21 დღიანი ვადაგადაცილებით მიანოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ნაწილი, ხოლო მას საერთოდ არ მიუწოდებია საქონლის დარჩენილი ნაწილი – 82,5 მ³ შეშა. ამავე წერილით, მიმწოდებელს ეცნობა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

4.6. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 71 280 ლარის ღირებულების ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების მოცულობის 91% შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „საუკუნეს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, მან შემსყიდველ ორგანიზაციას არასრულად და ვადაგადაცილებით მიანოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რის გამოც, ხელშეკრულება ცალმხრივად შეწყდა. ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადანყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაბრობის პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული ვალდებულების მოცულობას, კერძოდ, იმ გარემოებას, რომ მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულებების ღირებულება შეადგენს 71 280 ლარს, რაც ხელშეკრულების სრული ღირებულების 91%-ს წარმოადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „საუკუნის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაბრობიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „საუკუნის“ (ს/ნ: 420430402) 2020 წლის 19 მარტს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

ლევან რაზმაძე